სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის
გენერალური დირექტორის

ბრძანება № 10

2020 წლის 18 თებერვალი

ქ. თბილისი

„სსიპ - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდისა და იტალიის კვლევების ეროვნული საბჭოს (CNR) ერთობლივი სამეცნიერო საგრანტო კონკურსის ფარგლებში წარმოდგენილი პროექტების მოხსნის შესახებ

„სსიპ – შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდისა და იტალიის კვლევების ეროვნული საბჭოს (CNR) ერთობლივი სამეცნიერო საგრანტო კონკურსის დებულებისა და საგრანტო კონკურსის შეფასების კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 10 აგვისტოს N133/ნ ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-5 მუხლის მე-5 პუნქტის, „სსიპ - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდისა და იტალიის კვლევების ეროვნული საბჭოს (CNR) ერთობლივი სამეცნიერო საგრანტო კონკურსის გამოცხადების შესახებ“ სსიპ - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის 2019 წლის 12 ნოემბრის N124 ბრძანებით დამტკიცებული კონკურსის პირობების მე-5 მუხლის მე-6 პუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფუძნებისა და მისი წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 28 ივლისის N62/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის საფუძველზე და სსიპ - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის სამეცნიერო დეპარტამენტის უფროსის 2020 წლის 17 თებერვლის სამსახურებრივი ბარათის (N201226) შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. „სსიპ - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდისა და იტალიის კვლევების ეროვნული საბჭოს (CNR) ერთობლივი სამეცნიერო საგრანტო კონკურსის პირობებთან შეუსაბამობის გამო, მოიხსნას შემდეგი პროექტები:

პროექტის შიფრი	პროექტის სათაური	მოხსნის მიზეზი
CNR-19-109	ნაწილაკები და ველები შავი ხვრელის სივრცეში: პირობები ჰორიზონტთან და უსასრულობაში	ფონდის მიერ დადგენილ ვადაში ხარვეზის გამოუსწორებლობა. დარღვეულია კონკურსის პირობების მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ და „თ“ ქვეპუნქტები.
CNR-19-073	საქართველოსა და იტალიის წიწვოვან ტყეებში ქერქიჭამიებთან ასოცირებული ნემატოდების დახასიათება და მათი პოტენციალის შეფასება	ფონდის მიერ დადგენილ ვადაში ხარვეზის გამოუსწორებლობა. დარღვეულია კონკურსის პირობების მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტი.

2. დაევალოს სსიპ - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს წინამდებარე ბრძანების განთავსება ფონდის ვერგვერდზე.
3. ბრძანება ძალაშია ვებგვერდზე გამოქვეყნებისთანავე.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. №6).

ზვიად გაბისონია